

თანამშრომლობის მემორანდუმი

საჯარო სამართლის იურიდიული პირი -

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტსა

და შპს „მაქსნეტი MAX.net“

ქ. ბათუმი

ერთი მხრივ, საჯარო სამართლის იურიდიული პირი - „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“ (შემდეგში „ბსუ“), წარმოდგენილი რექტორის ასოც. პროფესორის მერაბ ხალვაშის მიერ და მეორე მხრივ შპს „მაქსნეტი MAX.net“ ს/კ438426112 (შემდეგში „მაქსნეტი MAX.net“) წარმოდგენილი მისი დირექტორის მალხაზ ხოფერიას მიერ, (შემდეგში „მხარეები“) თანხმდებიან პროფესიულ (მოდულურ) საგანმანათლებლო სფეროში თანამშრომლობის შესახებ შემდეგზე:

მხარეთა უფლება-მოვალეობები

1. „მაქსნეტი MAX.net“ - უზრუნველყოფს პროფესიული მოდულური პროგრამის „ელექტრონული და ციფრული მოწყობილობების დიაგნოსტიკოს-შემკვთებელი“-ს სტუდენტთა გაცნობითი და საწარმოო პრაქტიკის გავლას. ასევე უზრუნველყოფს მოდულით გათვალისწინებული სხვა საკითხების შესწავლას; პრაქტიკული და ანალიტიკური უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებისა და თეორიული ცოდნის პრაქტიკული საქმიანობით განმტკიცების მიზნით, მხარეებს შორის შეთანხმებული კონტიგენტის ფარგლებში,
2. მხარეები:
 - ა) დარგობრივი კომპეტენციის ჩამოყალიბების მიზნით, მონაწილეობას მიიღებენ საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებაში (ინფორმაციის გაცვლა, მეთოდური დახმარება და ა. შ.);
 - ბ) დაგეგმვენ და განახორციელებენ ერთობლივ სასწავლო ტრენინგებს, საინფორმაციო შეხვედრებს და სხვა;
 - გ) უზრუნველყოფენ მოდულური პროფესიული პროგრამის „ელექტრონული და ციფრული მოწყობილობების დიაგნოსტიკოს-შემკვთებელი“-ს ფარგლებში, გაცნობითი და საწარმოო პრაქტიკის დროს სტუდენტებმა ისარგებლონ მოდულით გათვალისწინებული ტექნიკური აღჭურვილობით და სასწავლო რესურსებით.

მემორანდუმის მოქმედების ვადა და მხარეთა რეკვიზიტები

წინამდებარე მემორანდუმი ძალაშია ხელმოწერისთანავე და ძალაშია მის გაუქმებამდე.

საჯარო სამართლის იურიდიული პირი -

„ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“

(ქ. ბათუმი, ნინოწვილის ქ. 35)

მერაბ ხალვაში

რექტორი, ასოცირებული პროფესორი

თარიღი: 18.07.2017

შპს „მაქსნეტი MAX.net“

ქ. ბათუმი, ჰორტენზიას ქ. 4

მალხაზ ხოფერია

დირექტორი

თარიღი: 18.07.2017

